[...]ტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 134 (5235) | ორშაბათი, 13 ივნისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველი დროშით, უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1938 წლის 12 ივნისი დაუვიწყარ დღედ დარჩება აყვავებულ საქართველოს ხალხთა ცხოვრებაში. არჩევნების დღე გადაიქცა ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად.

## საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

გუშინ საბჭოთა საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ბედნიერმა მშრომელებმა უდიდესი რევოლუციური ენტუზიაზმით, უსაზღვრო აღფრთოვანებით, ზეიმითა და სიხარულით მიიღეს მონაწილეობა თავიანთი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში. რესპუბლიკის ყოველ მხარეში,—შავი ზღვის სანაპიროებიდან ქართლ-კახეთის ველებამდე, იმერეთიდან რაჭა-ლეჩხუმის მთებამდე, — ყველგან, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისშიც, მთაშიც და ბარშიც, ქალაქადაც და სოფლადაც ერთი აზრითა და გრძნობით გამსჭვალული ქართველი ხალხი მივიდა საარჩევნო ყუთებთან და ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან.

ხალხის ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ბლოკი, — კომუნისტებისა და უპარტიოების უძლეველი სტალინური ბლოკი, რომელიც მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგა გუშინდელ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულში, — ეს იყო თავისებური, საბჭოთა ყაიდის, აქამდე არნახული ძალისა და მნიშვნელობის ერთიანი სტალინური ბლოკი, რომელიც გამოიჭედა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის გმირულ ბრძოლებში, მკაცრ სამოქალაქო ომში და სოციალიზმის მშენებლობის ფრონტებზე.

გუშინდელი არჩევნების შესახებ სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ დიდი სტალინის მიერ 1937 წლის 11 დეკემბერს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვები, რომ:

„ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი“.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, ისევე, როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხს, სურთ, რომ ჩვენი დიადი სამშობლო კიდევ უფრო მძლავრი და კულტურული იყოს, ჩვენი ინდუსტრია მუდამ წინ უსწრებდეს კაპიტალისტური მსოფლიოს მრეწველობას, კვლავ იფურჩქნებოდნენ და ჰყვაოდნენ ჩვენი კოლმეურნეობანი, განუწყვეტლივ ვითარდებოდეს სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, კიდევ უფრო მძლავრი და უძლეველი იყოს ჩვენი წითელი არმია და წითელი ფლოტი.

აი ამიტომ გაიმარჯვა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა და ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ და აჭარის და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოებში არჩეული არიან ამ ბლოკის კანდიდატები, როგორც პარტიულები, ისე უპარტიოები, არჩეული არიან ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული ადამიანები, კომუნიზმის შეუდრეკელი მშენებლები.

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმის გამო, რომ გუშინ მან თავისი უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი უყარა იმ ადამიანს, ვისი სახელიც განუყრელადაა დაკავშირებული სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებთან, ვინც დიდ ლენინთან ერთად შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი, ძმური ოჯახი და უზრუნველჰყო ამ რესპუბლიკების გაფურჩქვნა-აყვავება და ვისაც მშრომელი ხალხი მიჰყავს კიდევ უფრო უკეთესი მომავლისაკენ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ,—ხალხთა ბრძენ ბელადს, საყვარელ მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

ქართველი ხალხი ბედნიერია იმის გამო, რომ მან თავისი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი უყარა აგრეთვე დიდი სტალინის სახელოვან თანამებრძოლს, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს და საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

საქართველოს, აჭარის და აფხაზეთის მშრომელებმა გუშინ განახორციელეს სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება: მონაწილეობა მიიღეს თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში, მაგრამ ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობანი ამით არ მთავრდება.

„ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ თავისი დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ — არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი — ამომრჩევლები ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი“ (სტალინი). ხოლო დეპუტატს უნდა ახსოვდეს, რომ „იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა ვაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ“ (სტალინი).

განვლენ ათეული და ასეული წლები, მაგრამ ქართველი ხალხის მეხსიერება მუდამ წმინდად შეინახავს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმის დაუვიწყარ დღეს — 1938 წლის 12 ივნისს, როცა საბჭოთა საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის მშრომელები სტალინური კონსტიტუციის დიადი აზრებით შთაგონებულნი, უდიდესი ორგანიზებულობით, აღფრთოვანებითა და სიხარულით მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებში, — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პირველი უმაღლესი საბჭოების არჩევნებში.

გაუმარჯოს თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხს!

დიდება მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს!

## საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

### საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობა

გაიხსნება **15** ივნისს, საღამოს **7** საათზე რუსთაველის სახ. თეატრის შენობაში

### ყრილობის დღის წესრიგი

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**ლ. ბერია**

*

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს 13 და 14 ივნისს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 15 ივნისს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე — საორგანიზაციო კომისიის ბინაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 5, ც. კ-ის შენობის პირდაპირ).
საორგ. კომისიის ტელეფონები: 3—66—20, 3—72—42

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ ლ. პ. ბერიას

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა მხურვალედ ულოცავს საქართველოს ბოლშევიკებსა და მოძმე ქართველ ხალხს ისტორიულ დღესასწაულს—1938 წლის 12 ივნისის დღეს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებს, მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე დამყარებული არჩევნების დღეს. მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ჩვენი მშობლიური **სტალინის** სამშობლოს—მზიანი საქართველოს ბედნიერი და თავისუფალი ხალხის ეს სასიხარულო დღე არის აგრეთვე მთელი აზერბაიჯანელი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების დღესასწაული. საბჭოთა აზერბაიჯანის ბოლშევიკები და ყველა მშრომელები უდიდეს სიხარულსა და ბედნიერებას განიცდიან მოძმე ქართველ ხალხთან ერთად, რომელიც 1938 წლის 12 ივნისს მთლიანად, როგორც ერთი კაცი,მივა რა საარჩევნო ყუთებთან, ხმას მისცემს **ლენინ - სტალინის** გმირულ პარტიას, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას, ჩვენს წმინდათა-წმინდა სამშობლოს, ჩვენს დიდ მშობლიურ **სტალინს** და უმაღლეს საბჭოში აირჩევს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, მუშებისა და გლეხების საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლებს.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) XIV ყრილობა დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ფუძემდებლის დიდი **სტალინის** მიერ შექმნილი და გამოზრდილი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც მთელი ქართველი ხალხის განუსაზღვრელი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს, უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს მიაღწევს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) XIV ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი 1938 წლის 12 ივნისს კვლავ ცხადჰყოფენ თავის დარაზმულობას, თავის ერთგულებას სტალინური კონსტიტუციის შემომქმედის, ჩვენი მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინისადმი,** თავის განუსაზღვრელ სიყვარულს და ერთგულებას ბოლშევიკების პარტიისადმი, თავის საბრძოლო მზადყოფნას და კვლავაც დაუნდობლად გამოამჟღავნებენ და მოსპობენ ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელ, ბურჟუაზიულ - ნაციონალისტ და სხვ. აგენტებს და ერთხელ კიდევ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყოფენ თავის ურყევ მორალურსა და პოლიტიკურ ერთიანობას.

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხების ძმურ მეგობრობას!

გაუმარჯოს დიად ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს საქართველოს სახელოვან ბოლშევიკურ ორგანიზაციას და მის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ **ბერიას!**

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და დიდ **სტალინს!!!**

**XIV ყრილობის პრეზიდიუმი**

1938 წლის 11 ივნისი.

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სოციალისტური საქართველოს მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, ყველა მშრომელს

სოციალისტური ყირგიზეთის შრომელების—მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის სახელით მოძმე ქართველ ხალხს ვულოცავთ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს.

ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დაუვიწყარ დღეს მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყო თავისი მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, თავისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის გრანდიოზული გამარჯვება იმის საწინდარია, რომ თავისი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებშიც ქართველი ხალხი ერთსულოვნად მისცემს ხმას ურყევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ბოლომდე მოსპობს სოციალიზმის მტრებს.

გაუმარჯოს ბედნიერ ქართველ ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი **სტალინი!**

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის პირველ კანდიდატს, დიდ **სტალინს!**

**ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.**

1938 წლის 12 ივნისი

**ფრუნზე.**

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

სალამი საქართველოს ხალხებს. ტულის საიარაღო წითელდროშოვანი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები და მოსამსახურეები გილოცავენ თქვენ უდიდეს დღესასწაულს, თქვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების არჩევნების დღეს. თერთმეტ თანასწორ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის თქვენ პირველები ირჩევთ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. გიძღვნით სალამს და მოგიწოდებთ განამტკიცოთ ხალხთა ურყევი ძმობა და თქვენი ხმები მისცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.** მზიანი აყვავებული საქართველო დიდი **სტალინის** სამშობლოა, საქართველოში დაიბადა კაცობრიობის გენიოსი, ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი,** რომელმაც მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი მიიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე. ქართველი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების ხმას ჩვენ ვუერთებთ ჩვენი აღფრთოვანებისა და სიხარულის ხმას მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად დიდი **სტალინის** ერთსულოვნად წამოყენების გამო. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ხალხებისათვის განუსაზღვრელად ძვირფასია სტალინის სახელი, როგორც ძვირფასია ეს სახელი მთელი პროგრესიული კაცობრიობისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ხალხი სიხარულით მისცემს თავის ხმებს საყვარელ **სტალინს,** კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ბედნიერ ხალხებს!

გაუმარჯოს დიად რუს ხალხს, რომლის დახმარებითაც მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებმა მოიპოვეს ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება!

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას და მის გენიალურ შემომქმედს, დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

**ტულიდან**
**მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებისა და მოსამსახურეების დავალებით საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანი აგაფონოვი.**



საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხანაგი **ლ. პ. ბერია** ლებულობს საარჩევნო ბიულეტენს ძერჟინსკის საარჩევნო ოლქის მე-7 საარჩევნო უბანში

ფოტო რ. აკოფოვისა

## ბელადს ირჩევდნენ აქ დეპუტატად

რა მშვენიერი დილა გათენდა ამ 12 ივნისს! დაუვიწყარი იქნება ეს დღე საქართველოს ისტორიაში. საშვილიშვილო ამბად დარჩება ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების ხვედრი, საამაყო და შესანიშნავი.

დიდი ილიჩის სახელობის საარჩევნო ოლქში, აყვავებული საქართველოს განახლებული დედაქალაქის ახალ უბანში ზეიმი იყო ჯერ უნახავი, უბრწყინვალესი. ბელადს ირჩევდნენ იქ დეპუტატად.

გარიჟრაჟიდან ახმაურდა დიდი უბანი. ბაღნარებიდან, კოტეჯებიდან, მრავალსართულიან სახლთა კვარტალებიდან ამომრჩევლები გამოვიდნენ ქუჩაში და ჯგუფ-ჯგუფად დაიძრნენ საარჩევნო უბნებისაკენ.

მოახლოვდა დათქმული დრო, დილის 6 საათი, და საუბნო კომისიათა სადგომების ეზოები ამომრჩევლებით აივსო.

— ალლო, ლაპარაკობს ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის საარჩევნო ოლქის მე-5 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალენტინა უსტინოვა. ამხანაგო რადიომსმენელებო, მოუსმინეთ ამხ. უსტინოვას.

რადიო-მიკროფონთან სიჩუმეა. დიქტორმა გააფრთხილა მთელი სატრანსლაციო ქსელი, რომ მომზადებულიყვნენ ისტორიული დღის— 12 ივნისის დასაწყისისთვის ახალი ამბების მოსასმენად.

— ალლო! აგერ სრულდება ექვსი საათი, — ამბობს მიკროფონთან ამხ. უსტინოვა, — ვსინჯავთ საარჩევნო ყუთს... ყველაფერი წესრიგზეა... ორი წუთის შემდეგ ამომრჩევლები დაიწყებენ ხმის მიცემას. კენჭს უყრით დიდი სტალინის კანდიდატურას!

ამ დროს ეზოდან წამოვიდა ამომრჩეველთა წყება. პირველი მოდის, კონვერტში ბიულეტენს ათავსებს და ბელადს ირჩევს ჭაბუკი სტახანოველი მუშა სურენ ოჰანესის-ძე მანუკიანი.

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ იმედს, ჩვენს დიდ სტალინს! — წარმოსთქვა მან და კონვერტი ყუთში ჩაუშვა. მანუკიანს მიჰყვნენ სხვები— მოხუცნი, ახალგაზრდები, ქალები და კაცები, მუშები და ინჟინრები, დიასახლისები და მასწავლებლები... ეზოში მუსიკის ხმა ისმოდა და საბავშვო დარბაზში ნორჩები ყვავილებთან ერთობოდნენ.

მეოთხე საარჩევნო უბანში სიმღერით მოვიდნენ კომკავშირელი ამომრჩევლები. ხალისიანმა ჟრიამულმა და ხმაშეწყობილმა სიმღერამ წამოშალა ირგვლივ მცხოვრებნი. აქ უმთავრესად რკინიგზელები ცხოვრობენ. ბევრი მათ შორის მომსწრეა რევოლუციური მოძრაობის განთიადისა. აქ, ამ უბანში ბედნიერება პირველი ხმისმიცემისა წილად ხვდენია რეკორდსმენ-სტახანოველს სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის მუშას გიორგი არტემის-ძე ქსოვრელს. მას მოჰყვა მეორე სტახანოველი იმავე ქარხნიდან — ვასო ნატრაშვილი, ჰაღარა ამომრჩეველი წარსულ ბედშავ დროთა მომსწრე და დღეს სიცოცხლით გახარებული.

— იცოცხლოს და იდღეგრძელოს ჩვენმა დიდმა ბელადმა.

უწყვეტ წყებად მოდიან ამომრჩევლები კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მახლობლად მოთავსებულ, პირველ საარჩევნო უბანშიაც. ყველა ეროვნების, ყველა პროფესიის წარმომადგენლებს ნახავთ, მათ შორის. აგერ მოვიდნენ ტყუპი ძმები — გერმანელი მუშები იაგორ და იაკობ ადამის-ძენი მიხელები. ორივეს ერთი თვის წინათ შეუსრულდათ 18 წელი.

საარჩევნო კომისიაში შემოვიდა შორეთიდან მოსული კაცი:

— ჯავახეთიდან ჩამოვსულვარ საგულდაგულოდ. ბურნაშეთელი კოლმეურნე ვარ, კომკავშირელი. აგერ მოწმობა მაქვს, რომ შემიძლია მონაწილეობა მივიღო არჩევნებში და ხმა მივცე დეპუტატობის კანდიდატს...

— ალბათ, სხვა რამ საქმეცა გაქვთ დედაქალაქში. ჩვენ ყველაფერში დაგეხმარებით!

— არავითარი. მინდა ერთი რამ, რომ ჩემი ხმა შევუერთო მთელი ხალხის ხმას დიდი სტალინის სადღეგრძელოდ და სადიდებლად. მინდა მივცე ხმა ბრძენთაბრძენ სტალინს.

სოფ. ბურნაშეთიდან ჩამოსულმა კომკავშირელმა მიხეილ ტატევოსის-ძე ნალბანდიანმა კონვერტი ჩაუშვა ყუთში.

— ახლა უკანვე უნდა გავსწიო,— სთქვა მან და ეზოში თავმოყრილ მოზეიმე ხალხში გაერია.

მე-7 საარჩევნო უბანში აჭარიდან ჩამოსული მთელი ოჯახი გამოცხადდა.

— ვისაც ხმის უფლება ჰქონდა ჩემს ოჯახში ყველანი აქა ვართ,— სთქვა მოხუცმა აჭარელმა - ამომრჩეველმა მეჯიდ ვეისელის-ძე ვეისელიძემ. ის და მისი ოჯახი, თუ მცირეწლოვანებს არ ჩავთვლით, ოთხი სულისაგან შესდგება. სამნი თბილისში ჩამოვიდნენ, რომ ხმა მისცენ იოსებ ბესარიონის - ძე სტალინის კანდიდატურას, ხოლო რძალი სოფელში დაუტოვებიათ. 73 წლის მეჯიდს ახლავს მეუღლე ყიაფარი და შვილი მუსა.

— სოფ. დეკანოზიშვილებიდან ვართ, ხულოს რაიონიდან, ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. დავბრუნდებით და მეზობლებს გადავსცემთ დღევანდელ ამბავს, — ამბობს მოხუცი.

რვა საარჩევნო უბანია ლენინის ოლქში. ყველგან ზეიმი და სიხარულია, სახელდახელო ესტრადებზე გამოდიან მომღერლები, მემუსიკეები. ბევრგან ცეკვა და თამაშია. მოსულან მომღერალთა გუნდები — დების თარხნიშვილების, პაჭკორიას გუნდი, მეჩონგურეთა ანსამბლები. მრავალფეროვანი გასართობებია ყველგან. საპატიო ვალმოხდილი ამომრჩევლები ისმენენ კონცერტებს, ისვენებენ და ერთობიან.

ბელადს ირჩევდნენ აქ დეპუტატად.

**დ. ლომთაძე**

## ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

ჩვენ, ყარაკალპაკეთის ტურტკულის ოლქის 21 საარჩევნო ოლქის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, ნდობით აღჭურვილი პირები, აგიტატორები, შევიკრიბენით რა წინასაარჩევნო თათბირზე, მხურვალე სალამს ვუძღვნით ქართველ და სომეხ ხალხებს მათი უმაღლესი საბჭოების არჩევნების დღეს. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ეს არჩევნები აღინიშნება კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებით. სავსებით ვიზიარებთ ქართველი ხალხის სიხარულსა და სიამაყეს იმის გამო, რომ ამხანაგებმა **სტალინმა** და **მოლოტოვმა** განაცხადეს თანხმობა კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ სომეხი ხალხის სიხარულსა და სიამაყეს იმის გამო, რომ ამხანაგებმა **სტალინმა, მოლოტოვმა** და **მიქოიანმა** თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ სომხეთის სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე. ჩვენს რესპუბლიკაში არჩევნები ჩატარდება 24 ივნისს. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უზბეკისტანის და ყარაკალპაკეთის უმაღლესი საბჭოების არჩევნები ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებულ იქნას უფრო უკეთესად, უფრო ორგანიზებულად, ვიდრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

გაუმარჯოს ხალხთა ურყევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს მეგობარს, ბელადს, მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

**ტურტკულიდან**
**თათბირის დავალებით ყარაკალპაკეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი**
**პივოვაროვი**



ფოტო - აპარატით ძერჟინსკის საარჩევნო ოლქის მე-7 უბანში (მარცხნიდან-მარჯვნივ). მოხუცი ამომრჩეველი სიმონ ტოგონიძე; ახალგაზრდა ამომრჩეველი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი თ. სახაზბერიძე პირველად აძლევს ხმას; თბილისის ავტოტრესტის შოფერი-სტახანოველი მ. აბულაშვილი სტოვებს კაბინს; უბნის დასასვენებელ ოთახში ამომრჩევლები მთელი დღე ისმენდნენ რადიოს; საბავშვო ოთახში თამაშობენ ამომრჩეველთა მცირეწლოვანი ბავშვები

ფოტო რ. აკოფოვისა

# საყოველთაო-სახალხო დღესასწაული საქართველოში

## იქ, სადაც კენჭი იყარა ამხანაგმა მოლოტოვმა

საღამოსათვის კაბინები თანდათან ცარიელდებოდა. სიხარული კი ქალაქს თავზე მაინც უხვად ეყარა. საარჩევნო უბნებში, ისევე, როგორც დილით, მას უშუალოდ იკრავდნენ გულში მოხუცი, ახალგაზრდა, ინვალიდი, ავადმყოფი, ქალი და კაცი.

სტალინის მე-8 საარჩევნო ოლქის შვიდსავე უბანში, სადაც კენჭს იყრიდა საბჭოთა კავშირის მძლავრი მთავრობის მეთაური ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, მთელი დღის განმავლობაში უჩვეულო გაცხოველება სუფევდა.

მესამე საარჩევნო უბანში 80 წლის სედრაკ რაშოიანს ქალიშვილი მოუძღვა.

— ძია სედრაკ, იცი ვის უნდა მისცე ხმა? — შეეკითხა ვილაც.

— შენი საქმე არ არის, მე ვიცი ვისაც მივცემ. თვალითა ვარ ბრმა და არა გონებით! შვიდი ათეული წლის მეხსიერება მაინც შემრჩენია ამ ქვეყანაზე და ვიცი, მინახავს, საკუთარ ზურგზე განმიცდია რა არის ადამიანის უფლებრივი და ზნეობრივი დამცირება. იცით თქვენ, რას ნიშნავდა სომეხ-თათართა და სომეხ-ქართველთა ჟლეტა? მე ეს ვიცი და ამიტომ ცხადია ხმას მივცემ იმას, ვინც შუღლის ნაცვლად ჩვენ შორის ძმობა დაამკვიდრა, ვინც ჩემსავით საწყალი და ჩაგრული სომეხი, ქართველი, თათარი, ებრაელი, მუშა წელში გამართა.

მოხუცს ეტყობოდა ლაპარაკის საღეროღელო აეშალა. აგიტატორ-პროპაგანდისტებისა და აქტივისტების წინაშე ის ფურცლავდა თავისი წარსულის ფურცლებს, რომლის თვითეული სტრიქონი საუკეთესო სააგიტაციო მასალას წარმოადგენდა სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარი ცხოვრების სასარგებლოდ.

ახალგაზრდა ქალი, რომელიც მოხუცს ახლდა, ნერვიულობდა: — მამა, მორჩი ლაპარაკს, ხელს ნუ უშლი!

მოხუცი კაბინისაკენ გაეშურა... ყური მოვკარით ასეთ სიტყვებს:

— ასე ცარიელი ქაღალდი როგორ გავუგზავნო ამხანაგ მოლოტოვს? ნუ დაიზარებ, შვილო, ჩასწერე თუ შეიძლება მაგ ქაღალდში — სიყვარულით გაძლევ-თქო ხმას, ჩემო ძვირფასო, იმისთვის, რომ...

გულდაწყვეტილი სედრაკი ქალმა საარჩევნო ურნასთან მიიყვანა...

პირველ საარჩევნო უბანში კიდევ უფრო ღრმა მოხუცი მარიამ ქუზმინსკაია შევიდა. კომისიის თავმჯდომარე ამხ. კ. ნაზარეტიანი შეწუხდა:

— ფეხით რათ მოხვედით, მანქანას გამოგიგზავნიდით.

— არა უშავს. ასეთი დეპუტატისათვის მეტსაც გავივლი, თუ დამჭირდება, — მიუგო ამომრჩეველმა.

საარჩევნო ოლქის შვიდივე უბანი გაიარა ათეულმა პროფესორმა, ათეულმა და ასეულმა სახელოვანმა ადამიანმა, ორდენოსნებმა, სტახანოველებმა, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკებმა, ბევრმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა. თითქმის რამდენიმე წუთში ამთავრებდნენ ისინი თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ საარჩევნო უბნის მოშორება მაინც ეზარებოდათ. ამ უბნების დერეფნებში ცეკვა, სიმღერა, სიხარული და სიცოცხლე დაჰქროდა.

მეორე საარჩევნო უბანში ისე მშვენივრად არის მოწყობილი ბავშვთა ოთახი, რომ არ შეგიძლია კაცმა განმეორებით არ ნახო. დილის 10 საათზე გავიცანით აქ პატარა ნოდარ კიკვიძე. მაშინ მას არ ეცალა — რკინიგზას აშენებდა და თავის ტოლებს ასწავლიდა მატარებლის ტარებას. საღამოს 8 საათია და ნოდარი ისევ აქ ტრიალებს. ახლა გადამიშალა ბავშვმი დღისით მიღებული შთაბეჭდილებანი. ნოდარი იცინის... კისკისებს...

ბედნიერები მაინც აქტივისტები არიან... მათ საშუალება ჰქონდათ წაეკითხათ კმაყოფილება და სიხარული თვითეული ამომრჩევლის სახე-

[illegible]

... კაცი. მარიამ მუმლაძე, 80 წლის მოხუცი, მასზე მარტო ერთი წუთით გვიან მივიდა.

მეორე საარჩევნო უბანში ამომრჩეველ გიორგი ჯაბადარისათვის მისვლა ამბარცუმ ჩიპუხჩიანს დაუსწრია. მესამე უბანში გურგენ დოხიკიანცს მისვლა დაასწრო თამბაქოს ფაბრიკის დამხარისხებელმა 60 წლის მარიამ მუმლაძემ.

საღამო ჟამს მესამე საარჩევნო უბანში კარი შემოაღეს ექვთიმე კალაშნიკოვმა და მისმა ცოლმა.

— ჩვენ 11 შვილის და 43 შვილიშვილის პატრონნი გახლავართ. 32 ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში, დანარჩენი მცირეწლოვანია. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ 34 ხმას ვაძლევთ იმათ, ვინც მოგვანიჭა ბედნიერი მოხუცებულობა!..

ꝏ

საღამოს 10 საათიდან შვიდსავე უბანში, შვიდსავე ურნასთან მისვლა თანდათან წყდებოდა. 12 საათისათვის წყდებოდა აგრეთვე მუსიკა, ცეკვა, სიმღერა.

შთაბეჭდილებების გაზიარება კი გრძელდებოდა. ისინი მჭერმეტყველურად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ გუშინ ყველაფერი გადასხვაფერდა: უძლურს ძალა დაუბრუნდა, მოხუცს — სიჭაბუკე, ახალგაზრდას ცხოვრების სიბრძნე და გამოცდილება მოუპოვებია.

განა ყოველივე ამის ენით გამოთქმა შეიძლება? კალამი ასეთი მოვლენების წინაშე სუსტია. მან მარტო იმის აღნიშვნა მოახერხა, რომ სტალინის მე-8 საარჩევნო ოლქში ყველა 11.295 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში.

**გ. აბულაძე**

## სახალხო დღესასწაული აფხაზეთში

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის ხალხი უდიდეს სიხარულს განიცდის. არჩევნები გადაიქცა ნამდვილ სახალხო დღესასწაულად. დღეს საარჩევნო ყუთებთან გამოცხადდა მთელი აფხაზეთის ამომრჩევლები, რომლებიც უმაღლეს საბჭოებში ირჩევენ ხალხის ღირსეულ შვილებს. დღეს მთელი აფხაზეთი მღერის ბედნიერების სიმღერებს.

ყველა უბანში ცეკვა-თამაში და სიმღერაა. საარჩევნო ყუთებთან ახალგაზრდებთან ერთად მოვიდნენ მოხუცებიც. სოხუმის ბერიას საარჩევნო უბანში კენჭისსაყრელად ყველაზე ადრე მოვიდა ოთხმოცი წლის მოხუცი ქალი რახილ ბალაბანი, რომელმაც განაცხადა:

— ჩემი სიხარული უსაზღვროა, რომ ასეთ არჩევნებს მოვესწარი. ერთ დროს უუფლებონი დღეს დიდი უფლებებით ვართ აღჭურვილი.

შუადღისათვის ამომრჩეველთა უმრავლესობას უკვე მიცემული ჰქონდა ხმა.

არჩევნების დღეს აფხაზეთის ხალხი შეხვდა მნიშვნელოვანი გამარჯვებებით. არჩევნების დღე აღინიშნა სოხუმში პირველი მატარებლის შემოსვლით.

**გ. მერკვილაძე**

## „პრავდის“ სახელობის საარჩევნო ოლქში

ლენინის რაიონში, საბჭოს ქუჩაზე, მე-36 საშუალო შრომის სკოლის შენობა ფერადი ელნათურებით არის გაჩირაღდნებული; იგი მორთულია დროშებით, საარჩევნო ლოზუნგებითა და პლაკატებით; მას ამშვენებს მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის მშობლიური სტალინისა და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას პორტრეტები.

აქ, ამ შენობაში, მოთავსებულია „პრავდის“ სახელობის საარჩევნო ოლქი და მე-4 საარჩევნო უბანი, 12 ივნისს, დილის 4 საათზე აქ პირველი მივიდა სტალინის სახელობის ორთქლმავალ -ვაგონშემკეთებელი ქარხნის ძველი მუშა, ამჟამად პენსიონერი ისაკი შავშიშვილი.

— არა, ადრე მომიხდა სახლიდან გამოსვლა, ალბათ დაკეტილი დამხვდება, არავინ იქნება — ასე ფიქრობდა თურმე 65 წლის ისაკი, როცა სახლიდან საარჩევნო უბნისაკენ მიდიოდა.

მაგრამ, აბა გენახათ მოხუცის სიხარული, როცა ის საარჩევნო უბნის შენობაში შესვლისას მიიპატიჟეს:

— მობრძანდით, მოსაცდელ დარბაზში მოითმინეთ!

დიახ, დილის 4 საათზე მეოთხე უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. თეკლე კვალიაშვილი, მისი მოადგილე, კომისიის მდივანი და წევრები უკანასკნელად სინჯავდნენ ამომრჩეველთა სიებს. ისინი, აღფრთოვანებულნი არჩევნების დაწყების მოახლოვებით, ერთხელ კიდევ ათვალიერებდნენ ხმის მისაცემ ოთახს, ამომრჩეველთა მშვენივრად მორთულ დარბაზს, ბავშვებისათვის გამოყოფილ ოთახებს, საექიმო პუნქტს.

დილის 5 საათია. ახმაურდა მოსაცდელი დარბაზი. აქ არიან სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის, დეპოს, 26 კომისრის ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკის, „ინჟმშენის“ მუშები და მათი ცოლები, დიასახლისები, ახალგაზრდა ვაჟები და გოგონები, რომლებიც ადრე მოსულან, რომ პირველებმა მისცენ ხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საამაყო კანდიდატს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

მოსაცდელ დარბაზში უკრავენ როიალს, თამაშობენ შაშს, ათვალიერებენ ბელადების სურათებს და პლაკატებს, კითხულობენ კედლის გაზეთს, საუბრობენ არჩევნებზე — 12 ივნისის საზეიმო დღეზე.

აი, 18 წლის ეთერი ბერუაშვილი, კომკავშირელი, მეორე საფეხურის სკოლის მოწაფე, რომელიც დილის 5 ½ საათზე გამოცხადდა უბანში.

— მე მიხარიან, რომ პირველად ვღებულობ მონაწილეობას არჩევნებში, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ პირველადვე ხმას მივცემ ჩვენს კანდიდატს — საყვარელ ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

როცა ამ დილით სახლიდან გამოვდიოდი, ჩემმა 17 წლის ძმამ მომაძახა: ეთერი, ნეტავი მეც 18 წლისა ვიყო. და ეს სიტყვები ჩემს ყურებს არ განშორებია.

— მიხარიან, რომ ამხანაგმა ბერიამ თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ჩვენს — „პრავდის“ სახელობის საარჩევნო ოლქში, მიხარიან, რომ დღეს, 12 ივნისს, ხმას მივცემ ლავრენტი ბერიას კანდიდატურას—სახეგაბრწყინებული უზიარება თავის მეზობელს თბილისის მე-5 სავაგონო დეპოს მღებავი გიორგი ფაშალიშვილი.

6 საათი შესრულდა. ამეტყველდა რადიო, უკრავს სასულე ორკესტრი. ყველა აღფრთოვანებულია.

კომისიის თავმჯდომარემ თ. კვალიაშვილმა სრულ 6 საათზე ამომრჩევლები მიიპატიჟა იმ ოთახში, სადაც კომისიის წევრები ბიულეტენებსა და კონვერტებს გასაცემად ამზადებდნენ.

ამრიგად, საარჩევნო ყუთში პირველად კონვერტი ჩაუშვა ისაკი შავშიშვილმა, იმან, რომელიც დილის ოთხ საათზე პირველი მივიდა უბანში.

მწყობრად და დაუბრკოლებლად მიდიან ამომრჩევლები საარჩევნო ყუთისაკენ. მაგრამ ისინი მალე არ სტოვებენ უბანს, ხალისით უსმენენ სასულე ორკესტრს, დილით ადრე მოსულ მეჩონგურეთა გუნდის ტკბილ სიმღერებს ორდენოსან მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

ამომრჩევლები, რომლებმაც მოიხადეს თავიანთი მოვალეობა, ხალისიანად ბრუნდებიან სახლებში ორდენოსან პაჭკორიას გუნდის სიმღერებითა და მოხდენილი ცეკვით ნასიამოვნები; ნასიამოვნები და დამტკბარი სიმღერებით, რომლებიც გაისმოდა საამური და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელის დიდი სტალინის პატივსაცემად, საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას პატივსაცემად.

დილის 11 საათისათვის 1530 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 800 კაცზე მეტს.

○

გუშინ ასეთივე აღფრთოვანებითა და ზეიმით ჩატარდა არჩევნები „პრავდის“ სახელობის საარჩევნო ოლქის დანარჩენ უბნებშიც. ყველგან მორთული იყო შენობები, მოსაცდელი დარბაზები, საბავშვო ოთახები. ყველა უბანი ამომრჩეველთა შეხვედრისათვის დილის 6 საათისათვის უკვე მზად იყო.

საარჩევნო უბნებში მისვლისას გრძნობ ამომრჩეველთა სიყვარულსა და პატივისცემას კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, საყვარელი სტალინისადმი. გრძნობ, რომ ამომრჩევლები ხალისით აძლევენ თავიანთ ხმას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საამაყო კანდიდატს ამხანაგ ლ. ბერიას.

მე-3 საარჩევნო უბანში დილის 10 საათისა და 30 წუთისათვის 1175 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 660 კაცმა; მე-6 საარჩევნო უბანში დილის 11 საათისა და 30 წუთისათვის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 955 ამომრჩეველმა 1328 ამომრჩევლიდან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მე-2 საარჩევნო უბანი თავისი მომზადებით, საცდელი დარბაზით, ხმის მისაცემი ოთახით, ბავშვების კერებით. ამ უბანში (კომისიის თავმჯდომარე ამხ. კუჭავა) დღის 12 საათისათვის 1225 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 1000 კაცმა.

**ვ. მთვრალაშვილი**




დილის 6 საათზე მე-7 სკოლის პიონერთა აგიტბრიგადის დაფდაფებისა და ნაღარის ხმამ მე-10 ოლქის მე-4 საარჩევნო უბნის ამომრჩევლებს აცნობა, რომ დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ფოტო—კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## აჭარელ მშრომელთა სიხარულის დღე

(ბათუმი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებოდა ბათუმი 11 ივნისის საღამოს. ქალაქი საზეიმოდ იყო მორთული, ელნათურებით უხვად გაჩირაღდნებული. ქუჩები მორთული იყო პლაკატებით, ლოზუნგებით, ყვავილებით. ქალაქს, მის ყოველ კუთხეს, ამშვენებდა დიდი სტალინის და მისი თანამებრძოლების პორტრეტები. შესანიშნავად იყო მოწყობილი საარჩევნო უბნები, საარჩევნო კომისიების წევრები ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ მზადყოფნას არჩევნებისათვის.

12 ივნისის დილის ოთხი საათია, მაგრამ ქალაქს არ სძინავს, ქუჩები სავსეა მშრომელებით, ყველანი საარჩევნო უბნებისაკენ მიემართებიან.

არჩევნების დაწყებამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, ლიბკნეხტის სახელობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში კი ამომრჩეველთა მოსაცდელი დარბაზები გაჭედილი იყო ხალხით. აქ მოსულან სხვადასხვა ეროვნების ამომრჩევლები: ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები. ისინი მოუთმენლად ელიან არჩევნების დაწყებას, ყველას სურს პირველმა მისცეს ხმა ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს.

აი არჩევნებიც დაიწყო. საარჩევნო ყუთთან პირველნი მივიდნენ აჭარელ ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის ფრიადოსანი გოგონები ფერიდე ფალხვა და თამარ ნათელაძე, რომლებიც პირველად ღებულობენ მონაწილეობას უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. საარჩევნო ყუთში ბიულეტენი ჩაუშვა 90 წლის მოხუცმა ქალმა არაბატოხიანმა.

— ვერ აგიწერთ ჩემს სიხარულს. მე ერთხელ კიდევ ვიგრძენი სტალინური მზრუნველობა ადამიანზე. მადლობა ჩვენს სტალინს საამური ცხოვრების შექმნისათვის, — სიხარულით აღსავსე ხმით განაცხადა მან.

ყველა საარჩევნო უბნებში ჯერ არნახული სიხარულია. აჭარელი მშრომელები ხმას აძლევენ კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს საქ. სსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოებში ასარჩევად.

**ქ. დოგორჯგინიძე.**

○

## არჩევნები სამხრეთ ოსეთში

**სტალინირი**, 12 ივნისი (საქინფო). სამხრეთ-ოსეთის მშრომელები სადღესასწაულოდ მომზადებული შეხვდნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, 12 ივნისს.

გარიჟრაჟიდან ქუჩებში გაისმოდა სიმღერისა და მუსიკის ხმები. ყველა მისწრაფვის საარჩევნო უბნებისა-

[illegible]

## სტუდენტთა საარჩევნო ოლქი

ამ ოლქს შესაფერი სახელი ჰქვია. აქ, ამ ოლქში არის ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა დიდი ნაწილი: აქ, ამ ოლქში არის თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის უნივერსიტეტი; ამ ოლქში არის სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, წყლის მეურნეობის და სხვა მრავალი ინსტიტუტი; ამ ოლქში არის ტექნიკუმები და საშუალო სკოლები; აქ არის სტუდენტთა ქალაქი, რომელშიაც 3.500 სტუდენტი ცხოვრობს. აქ, ამ ოლქში გუშინ კენჭი იყარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქართული მეცნიერების სიამაყემ პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა.

შესანიშნავი, თვალწარმტაცი სანახავი იყო გუშინ ვაკე — ახალი თბილისის ერთ-ერთი ლამაზი კუთხე. დილაადრიან საარჩევნო უბნებისაკენ განუწყვეტელ ნაკადად იწყეს დენა სტუდენტთა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა. არჩევნების დაწყებას კიდევ აკლდა რამდენიმე წუთი, როცა მეორე საარჩევნო უბანში ორასამდე ამომრჩეველმა მოიყარა თავი. სიმღერა-თამაშში მალე გაიარა დრომ. შესრულდა ექვსი საათი, გაიღო საარჩევნო უბნის კარი. კაისმა ამომრჩეველთა ხმა: „გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს!“, „ვაშა საქართველოს ბოლშევიკთა ნაცად ხელმძღვანელს ამხანაგ ბერიას!“ ამომრჩეველთა ამ აღფრთოვანებულ შეძახილებსა და ტაშში დაიწყო ხმის მიცემა, დაიწყო საყოველთაო სახალხო დღესასწაული. ადრიანად მივიდნენ ათეულობით ამომრჩევლები სხვა უბნებშიაც. ისინი მოუთმენლად ელოდნენ არჩევნების დაწყებას. მათ სურდათ პირველებს მიეცათ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატის — პროფესორ ი. ჯავახიშვილისათვის.

მშვენივრად იყო მოწყობილი ყველა საარჩევნო უბანი. მიდიხარ ერთ საარჩევნო უბანში, ათვალიერებ მას და გგონია, რომ აქ ყველაფერი სხვა უბნებზე უკეთესად არის მოწყობილი, წახვალ სხვა უბანში და იფიქრებ — ის სჯობია პირველად ნახულს, შემდეგ მესამე უბანში მიხვალ და ახლა ის მოგეწონება. ყველგან კარგად იყო მოწყობილი ხმის მიცემა, ყველგან ყურადღებას იქცევდა ბავშვთა ოთახები, ყველგან მრავლად იყო ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჭადრაკი და ბილიარდი, სიმღერა და თამაში.

თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოთავსებული საარჩევნო უბანი № 1. აქ ზედიზედ შემოდიან მუშები, მოსამსახურეები, დიასა-

[illegible]

**ქ. ნათელაძე**

## ბელადის სამშობლოში

[illegible]

**შალვა კაშმაძე.**

○

## არჩევნები მატარებელში

(„კომუნისტის“ სპეც. კორ.)

მატარებელ № 76-ში მოწყობილი იყო თბილისის „პრავდის“ ოლქის მერვე უბანი, სადაც კენჭს იყრიდა ამხანაგი **ლ. ბერია**. მატარებლის გასვლისთანავე აგიტატორებმა დაიარეს ვაგონები და გააცნეს მგზავრებს არჩევნების წესი. დილის 6 საათზე უბანმა დაიწყო მუშაობა. არჩევნები ჩატარდა დიდი ორგანიზებულობით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 175 კაცმა.

**ან. კელენჯერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს!



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ო. ნ. მდივნარაძე უშვებს საარჩევნო ყუთში ბიულეტენს სტალინის მე-8 საარჩევნო ოლქის მე-4 უბანში, სადაც კენჭს უყრიდნენ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის კანდიდატურას
ფოტო—ვ. გინსბურგისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## წითელარმიელ ამომრჩევლებთან ბანაკში

[illegible]

მოქალაქეობრივ მოვალეობას.

მოსაცდელი ოთახი! ოთახი კი არა, ნამდვილი საზეიმო დარბაზია. რამდენი სახის გასართობია! ყველას თავისი უნარისა და მიდრეკილებისამებრ შეუძლია გაერთოს ხმის მიცემის მოლოდინში და შემდეგშიც.

კაშკაშა დილა თენდება. დარბაზი თანდათან ივსება. მრავალფეროვან გასართობებს ხარბად დაეწაფნენ ამომრჩევლები. საზეიმო განწყობილებაა. იშვიათი სანახაობა, ნამდვილი სახალხო დღესასწაულია! ან რა იქნება ამაზე უკეთესი! სტალინური მზრუნველობით გამოზრდილი ახალგაზრდა ამომრჩევლები თავიანთ მეთაურებთან ერთად ზეიმობენ შესანიშნავ 12 ივნისს, იმ დღეს, როდესაც ისინი განიცდიან საბჭოთა მოქალაქის მაღალ ღირსებას, უდიდეს უფლებებს, შეუზღუდავ თავისუფლებას.

სრულ 6 საათზე საზეიმო ხმაურში გაისმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, სამხედრო კომისრის ამხ. ადამიას ხმა: — ამხანაგებო, ჰობრძანდით, არჩევნები დაიწყო! ამ ძახილზე წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეს მქუხარე ტაშის ხმა მოსდევს. რადიო „ინტერნაციონალს" ასრულებს.

[illegible]

ხმას აძლევენ ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილს, კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატს ამხ. კარლ ვლადიმერის-ძე მორეტის.

დილის 11 საათზე საუბნო კომისიამ საარჩევნო ოლქში პირველი ცნობა გაგზავნა. ამხ. ადამია ღიმილით გვეუბნება: ლეგიონის თითქმის ყველა ამომრჩეველმა დიდი სიხარულით მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, დაგვრჩა მხოლოდ განწესებაში მყოფი მებრძოლები, რომელთა მოსაყვანად მანქანებია გაგზავნილი.

საყოველთაო-სახალხო ზეიმმა ლეგიონში კარგახანს გასტანა. ამ დღეს ლეგიონის ამომრჩევლებმა უჩვენეს ორგანიზებულობის, ჩვენი საყვარელი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გენიალური ბელადის ამხანაგი სტალინის გარშემო შემჭიდროების ნიმუში. მათ დაამტკიცეს თავიანთი თავდადება დიადი სამშობლოს საქმისათვის, თავიანთი მზადყოფნა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიცვან ჩვენი ძვირფასი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრები.

მ. დავითაშვილი.

## დაუვიწყარი დღე

12 ივნისი მოღიმარი დილაა. საათის ისარი ჯერ კიდევ არ გასცილებია 5-ს, თბილისის რუსთაველის საარჩევნო ოლქის № 3 უბნის ამომრჩევლები კი უკვე დაიძრნენ საარჩევნო უბნებისაკენ.

არჩევნების დაწყებამდე ერთი საათი დარჩა, მაგრამ შრომის სასახლეში მოთავსებულ № 3 საარჩევნო უბნის მოსაცდელი დარბაზი უკვე ხალხითაა გაჭედილი, ისმის მხიარული საუბარი, ბედნიერების სიმღერები. რადიოგადაცემას საზანდარი სცვლის, საზანდარს ჯაზი და ა. შ.

დარბაზში ხალისიანი სადღესასწაულო განწყობილებაა. ყველა ხარობს, ყველა იცინის, ყველანი მოუთმენლად მოელიან საარჩევნო ყუთებთან მისვლას. დიდძალი ხალხია, მაგრამ მაინც სრული წესრიგია. ყველაფერი თავის ადგილზეა! კედლებზე გაკრულია დეკორატიული ქსოვილები, ხალიჩები, ყვავილები. არჩევნების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. თავმჯდომარე აბარებს კომისიის წევრებს კონვერტებსა და ბიულეტენებს. ყუთები დაბეჭდილია.

სრული ექვსი საათია და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პანტელიძემ გამოაცხადა: დავიწყოთ ხმის მიცემა.

შრომის სასახლის შენობა, რომელშიაც მოთავსებულია საარჩევნო კომისია, ზანზარებს მქუხარე ტაშით, გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს დიდ სტალინს, გაუმარჯოს საბჭოთა დემოკრატიზმს, გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

სასულე ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს". დაიწყო ხმის მიცემა.

საარჩევნო ბიულეტენს იღებს ამხ. მიხეილ ხალატოვი, მას სახე უღიმის და უზომოდ უხარია, რომ წილად ხვდა ბედნიერება — პირველი მივიდეს წითელ მატერიაში ჩასმულ ყუთთან და ხმა მისცეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანს ამხ. შალვა ილიას-ძე აზმაიფარაშვილს. მას მიჰყვება მოწინავე მუშა ამხ. მ. ადამოვი, შ. ადამოვი და ა. შ.

ამომრჩეველთა რიცხვი უფრო და უფრო მატულობს. იმართება ცეკვა: ფოქსტროტი, ლეკური, მღერიან ბედნიერი და საამური ცხოვრების გამომხატველ სიმღერებს.

ასევე ცოცხლად გამოიყურება ამავე ოლქის № 4 საარჩევნო უბანი. საუბნო კომისიის თავმჯდომარე პროფ. სიმონ ჯანაშია თავს დასტრიალებს ამომრჩევლებს, აძლევს რჩევა-დარიგებას. აქ საარჩევნო ბიულეტენს პირველი იღებს თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ქალი ამხ. ელენე შეკლაშვილი, მას უსაზღვროდ უხარია, რომ წადილი შეუსრულდა და ბიულეტენი პირველმა ჩააგდო საარჩევნო ყუთში.

მოღიმარი სახით შემოვიდა ბიულეტენის მისაღებად ჩიხტაკოპში გამოწყობილი ამხ. ნინო შაუშვილი, მას მოჰყვა პარტიის წევრი, დურგალი ამხ. მ. მიკირტიჩიანი.

ღამე ჯერ კიდევ არ იყო დამდნარი, ებრაელ ხაიმ შათაშვილის 8 სულისაგან შემდგარმა ოჯახმა რომ მიაშურა რუსთაველის ოლქის № 6 საარჩევნო უბანს. მისი შვილი მერი შათაშვილი, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, მშობლებს ეხვეწება — პირველად მე გამიშვით საარჩევნო ყუთთანო. დასთანხმდნენ მშობლები, ძმები და დები. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ცეკვავს, მხიარულობს, ლექსებს ამბობს.

— მთელი ღამის განმავლობაში არ დამძინებია, მინდოდა პირველი მივსულიყავი საარჩევნო ყუთთან, — ამბობს ის. — შევისრულე სურვილი. სიხარულით ვაძლევ ხმას ჩვენი დიადი ხალხის საუკეთესო შვილთა კანდიდატებს.

რუსთაველის საარჩევნო ოლქის ყველა საარჩევნო უბანში არჩევნები სრულ ექვს საათზე დაიწყო.

ამომრჩევლები ყოველმხრივ მომზადებულნი გამოცხადდნენ უბნებში. დებულების შესაბამისად ყველას ხელზე ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი საბუთები. ისინი სიხარულითა და ზეიმით შეხვდნენ ამ ბედნიერ დღეს.

დ. ფანჩულიძე.



ახალქალაქის რაიონის სოფ. ბურნაშეთის კლარა ცეტკინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე ამხ. ა. ნალბანდიანი (მარჯვნივ) სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, რომ ხმა მიეცა, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისათვის
ფოტო—ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## არჩევნები სიღნაღის რაიონში

თორმეტში, გარიჟრაჟზე მუსიკის ხმებმა ყველას ამცნო სახალხო საზეიმო დღე.

ქუჩებსა და უბნებში ხმაური თანდათან ძლიერდება. ყველა საარჩევნო უბნისაკენ მიიჩქარის. ყველა უბანში ისმის მუსიკის მხიარული ხმა, ამომრჩევლების სიმღერა და ცეკვა-თამაში. მოხუცები ახალგაზრდებთან ერთად მხიარული გამოშვებებით მიემართებიან საარჩევნო უბნებისაკენ. ხმის მიცემა სრულ 6 საათზე დაიწყო.

12 ივნისი, ისე როგორც 12 დეკემბერი, ყველასათვის დაუვიწყარი დღეა. არაჩვეულებრივი სიხარული და სიხალისე ერთხელ კიდევ ადასტურებს მთელი ხალხის უღრეს ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მშრომელი ხალხის იმედის, სიხარულისა და ბედნიერების სიმბოლოსადმი — დიდი სტალინისადმი. (საქდესი).

## თბილისს წითელი დროშები აელვარებს

თბილისმა ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა. მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, მაგრამ მიდამოს წითელი დროშები და არშიები აელვარებდა. საბჭოთა საარჩევნო ოლქი და მისი უბნები კარგად შეხვდნენ ამომრჩევლებს. ხუთი საათიდან დაიწყო ამომრჩეველთა დენა უბნებისაკენ. ისინი მოვიდნენ მხიარულნი და აღტაცებულნი იმ შეგნებით, რომ ხმას მისცემდნენ კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატს. მალე იგრიალა მუსიკამ. საარჩევნო უბნების მოსაცდელ ოთახებში გაზეთები აშრიალდა. ადრე მოსული ამომრჩევლები ერთობოდნენ, მაგრამ დაჰკრა თუ არა საათის ექვსმა, ხმის მისაცემი ოთახის კარი გაიღო. მეექვსე საარჩევნო უბანში ადრე 50-ზე მეტი ამომრჩეველი მოვიდა. მათ შორის პირველად ყუთში კონვერტი ჩაუშვა 80 წლის დიასახლისმა გაიანე ხეთაგიშვილმა, შემდეგ მისმა შვილებმა იოსებმა და თამარმა.

— დილა მშვიდობისა, შვილებო! — ომახიანად მიესალმა მე-4 საარჩევნო უბნის მუშაკებს 87 წლის მარიამ ადამაშვილი. მოხუცმა ბელადის სურათს შეხედა და სიხარულით სთქვა: დიდმა სტალინმა შეგვიქმნა ეს ბედნიერი ცხოვრება. შემდეგ პასპორტი ამოიღო ჯიბიდან, კონვერტი და ბიულეტენი მისცეს და მოხუცის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ყუთში კონვერტი ჩაუშვა.

დიასახლისები ნატალია სტეფანოვა და ნატო რაზმაძე აქტიურად მუშაობდნენ მე-3 საარჩევნო უბანში. ისინი გუშინ დილითაც ადრე მოვიდნენ და დაეხმარენ მუშაობაში საუბნო კომისიის წევრებს. ნატალია სტეფანოვა წითელ ტილოგადაფარებულ მაგიდას მიუჯდა და საარჩევნო ბიულეტენების გაცემას შეუდგა, მალე 18 წლის ამომრჩევლებიც მოვიდნენ. მათ უხარიათ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს სრულწლოვანნი რომ შეხვდნენ. 18 წლის გოგონა ეკატერინე ხატიაშვილი მოვიდა წიგნებით ხელში, — ამხ. ეკატერინე, გარდა იმისა, რომ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, იმითაც არის აღტაცებული, რომ ის წელს ამთავრებს მოზრდილთა სკოლას. შემდეგ მოვიდა აეროკლუბის მოტორისტი 18 წლის ნოე სვანიძე, იზა შალიბაშვილი და სხვ.

კლ. გოგიავა



ლენინის საარჩევნო ოლქის მე-4 საარჩევნო უბანში 5 საათსა და 45 წუთზე დალუქეს საარჩევნო ურნა
ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## უსაზღვრო აღტაცება

(ქუთაისი, 12 ივნისი საკ. კორესპონდენტისაგან).

დღეს ქუთაისში დილიდანვე განსაკუთრებული ხალისი, სიცოცხლე და მოძრაობაა. ქუჩები ჯერ კიდევ დილის 5 საათიდან სავსეა მშრომელებით, რომლებიც თავიანთ საარჩევნო უბნებში მიიჩქარიან.

ყოველი მხრიდან სიმღერისა და მუსიკის ხმები ისმის. ქუჩები, საარჩევნო უბნები და დაწესებულებები მორთულია წითელი დროშებით, ლოზუნგებით, პლაკატებით და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პორტრეტებით.

უბნებში ყველგან მოწყობილია საუკეთესოდ გაფორმებული მოსაცდელი ოთახები, ბავშვთა ბაგები, წითელი კუთხეები, სამედიცინო პუნქტები და სხვ. საარჩევნო უბნებს მომსახურებას უწევენ ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებთან არსებული მომღერალთა გუნდები.

ქუთაისის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებითა და მონდომებით მიდიან საარჩევნო ყუთებთან და ხმას აძლევენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

ქუთაისსა და მის რაიონში ნამდვილი სახალხო ზეიმია.

დილის 6 საათიდან საუბნო კომისიები იწყებენ მუშაობას. მშრომელები მოდიან მწყობრად, ხალისიანად ღებულობენ ბიულეტენებს და აძლევენ ხმას.

არჩევნები განსაკუთრებული აქტივობით ტარდება სოფლებშიც.

სოფ. გევუთის საარჩევნო უბანში უკვე ხუთი საათიდან იწყეს დენა ამომრჩევლებმა. განსაკუთრებული ხალისია საყულიის საარჩევნო უბანში. უკრავს მუსიკა, დოლი, მანდოლინა, გიტარა. მღერიან და ცეკვავენ.

საერთო მხიარულებას არ ჩამორჩება 103 წლის მოხუცი ვასილ ლომიძე. ისიც ზეიმობს, მღერის და ცეკვავს ახალგაზრდებთან ერთად. იგი სხვაზე ადრე მივიდა საარჩევნო ყუთთან და როცა ყუთში კონვერტს უშვებდა, გახარებულმა ხმამაღლა წამოიძახა:

— გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას!

სოფ. პატრიკეთის № 3 უბანში 11 საათისათვის 787 ამომრჩევლიდან ხმა მიცემული ჰქონდა 673 ამომრჩეველს. სოფ. ტყაჩირის უბანში დღის 11 ½ საათზე მხოლოდ 25 კაცი იყო დარჩენილი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიეცათ ხმა, ხოლო სოფ. ოფშკვითის № 5 უბანში დღის 1-ლ საათისათვის მხოლოდ 22 კაცი.

ქუთაისის რაიონის საარჩევნო უბნების დიდ უმრავლესობაში დღის 2 საათისათვის კენჭისყრა უკვე დამთავრებული იყო. ყველგან იგრძნობა უსაზღვრო სიხარული და აღტაცება. დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება ქუთაისის მშრომელებისათვის.

ეგ. გვასალია.

## ხმები მატარებლიდან

(ბათუმი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

საზეიმოდ მორთული ბათუმის სადგური მგზავრებით გაჭედილა. ვინ იცის, რამდენი ამომრჩეველი მიდის ახლა ბათუმიდან მატარებლით, რომლებმაც ვერ მოასწრეს საარჩევნო ყუთთან მისვლა თავიანთ საარჩევნო ოლქში!

მატარებელი № 73 დილის 1 საათზე დაიძრა ბაქნიდან. ამ მატარებლის შემადგენლობაშია ბათუმის ფრუნზეს სახელობის საარჩევნო ოლქის საუბნო ვაგონი, რომელიც ლამაზადაა მორთული ბელადისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტებითა და პლაკატებით. ვაგონში მოთავსებულია საუბნო კომისია, სამედიცინო, ხმის მისაცემი ოთახი და სხვ. კომისიის წევრებს ეხმარებიან მიმაგრებული ამხანაგები, რომლებიც დადიან ვაგონებში და აცნობენ მგზავრებს ხმის მიცემის წესს.

პირველი კონვერტი საარჩევნო ყუთში ჩაუშვა აჭარელმა რკინიგზელმა სულეიმან შავიშვილმა. იგი დილიდანვე მოუთმენლად ელოდა არჩევნების დაწყებას. 12 ივნისს გარიჟრაჟზე მისმა სამოცი წლის დედამ ხოსმეტმა ყველას მოასწრო საარჩევნო უბანში მისვლა. თითონ სულეიმანმა კი საუბნო ვაგონში მისცა ხმა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, მას მიჰყვა სახელოვანი კომკავშირელი-რკინიგზელი ბალერიან მჟავია და სხვ.

მატარებლიდან აძლევენ ხმას ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ადამიანები სოციალისტური სამშობლოს საამაყო შვილებს. მოჰქრის მატარებელი თბილისისაკენ და თან მოაქვს ხმები სიხარულისა, სიამაყისა და სიყვარულისა.

შ. ფურცხვანიძე

მატარებელი № 78.

ბათუმი — სამტრედია

## ამომრჩეველთა სიხარული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თბილისის ჩელუსკინის საარჩევნო ოლქს არჩევნების წინაღამით არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო. გაჩირაღდნებულ და ალისფერი დროშებით მორთულ ქუჩებში მთელ ღამეს არ შეწყვეტილა ხალხის დენა.

საოლქო და საუბნო კომისიის წევრები ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ მზადყოფნას არჩევნებისათვის. და დილით, საათის ისარმა ექვსი რომ უჩვენა, ყველგან გაისმა სასიხარულო სიტყვები:

—არჩევნები დაიწყო!

მეოთხე უბნის ამომრჩევლები ეკატერინე ფოთელაშვილი, სოფიო სლანოვსკაია და სხვები ღამის სამი საათიდან მოუთმენლად ელოდნენ ამ სიტყვებს. და ამ მოლოდინში მათი სიმხიარულე ათბობდა მოსაცდელ დარბაზს. ისინი ახალგაზრდული აღტყინებით უკრავდნენ როიალს, ცეკვავდნენ ფოქსტროტსა და ლეკურს, ზეიმობდნენ სახალხო დღესასწაულს.

იასონ მეტრეველს, მარიამ ჩისლიაკს, ოთხმოცი წლის ოსკარ აგბაბიანს და ყველა იმათ, რომლებსაც არ შეეძლოთ თავისით სიარული, საუბნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. ბუჯიაშვილმა ბინებში გაუგზავნა მსუბუქი ავტომანქანა. და ისინიც მოვიდნენ უბანში, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

დილის ექვსიდან ცხრა საათამდე 527 ამომრჩეველმა, ყველა ამომრჩეველთა ერთმა მესამედმა, მიიღო საარჩევნო ბიულეტენი.

ყველგან ზეიმი და მხიარულებაა. ლოყაწითელა ბავშვები, თავიანთ მშობლებს რომ მოჰყვნენ აქ, საარჩევნო უბნის საბავშვო ბაღიდან სოჩუქრებს ღებულობენ. მოსაცდელ დარბაზში წითელყელსახვევიანი პიონერი როიალის კლავიშებს ამოძრავებს და იქვე პატარა ოქტომბრელები მოხდენილად ცეკვავენ. ეზოში მწვანე მინდორზე ამომრჩეველნი შეკრებილან და გულდასმით ისმენენ ორდენოსან სანდრო კავსაძის მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებულ მომჯადოებელ სიმღერას.

ბელადო, დედის გაზრდილო,
ვეფხვო შე სალი კლდისაო,
ვერ შეგაშინა სიკვდილმა,
ელვა რომ იდგა ხმლისაო,
შენი ხმა უფრო სჭექავდა
ქუხილზე ზარბაზნისაო,
ბევრჯერ გირბინა სიკვდილმა
გამოგზავნილმა მტრისაო.
შენი ხაწრთობი ფოლადი
ყუა პირველად ჰრისაო,
ყველაზე მაღლა დაბრუნავ
არწივო მაღლის მთისაო!

და ისინი მთელ ხალხთან ერთად უმღერიან დიდ სტალინს, უმღერიან ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, უძლეველ წითელ არმიას, შეძლებულ ცხოვრებას.

თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო ინსტიტუტში, სადაც მე-11 საარჩევნო უბანი იყო მოწყობილი, ავადმყოფი ამომრჩევლები გულდასმით გაეცნენ თავიანთი სასახელო კანდიდატის ამხ. ნინო აგაშენაშვილის ცხოვრებასა და მუშაობას, შეისწავლეს არჩევნების დებულება. ამომრჩეველთა შორის გუშინ პირველი ბიულეტენი ავადმყოფმა ხაჩიკ ელიკიანმა მიიღო.

ხ. ელიკიანი ვერ დადიოდა. მწვავე რევმატიზმით დაავადებული, იგი ერთი თვის წინათ დაწვა ამ ინსტიტუტში. გულმოდგინე მკურნალობით მალე გამოჯანმრთელდა. ჯერ ყავარჯენით დაიწყო სიარული, ხოლო არჩევნების დღეს იგი თავისუფლად, უყავარჯნოდ გამოცხადდა საარჩევნო კომისიის ოთახში და აღფრთოვანებულმა სიამაყით ჩაუშვა ყუთში თავისი ბიულეტენი.

— დიდმა სტალინმა, ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ, — განუცხადა ხ. ელიკიანმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, — ადამიანი საბჭოთა კავშირში ყველაზე უძვირფასეს კაპიტალად აქცია. თუ არა ეს, უნდა დავკუტებულიყავ. მძიმე ავადმყოფი ჯანმრთელობის ამ სამჭედლოში სავსებით განვიკურნე და დღეიდან საშუალება მეძლევა კვლავ ახალი ენერგიით ვიშრომო ჩვენი ბედნიერი სამშობლოს საკეთილდღეოდ. აი რა აძლიერებს დღეს ჩემს უსაზღვრო სიხარულს, აი რატომ ვაძლევ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატს.

სანიმუშო წესრიგი, ამომრჩევლებისადმი თავაზიანი მოპყრობა და დახმარება, ენტუზიაზმი, სიხარული და უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, — აი რა ახასიათებდა გუშინდელ ზეიმს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ჩელუსკინის მთელს საარჩევნო ოლქში.

ტ. აცანელი

## სახალხო დღესასწაული სარვანის ველზე

ავტომანქანამ მთვლემარე ორღობეებს ჩაუქროლა და ალგეთის ხეობაში შეიჭრა. ყარყუმად აყუდებული ჭანდრის ხეები შეირხნენ და შორიდან მოდენილმა ზურნის სევდიანმა ხმამ ჩვენს ყურს მოატანა.

ლულმოკიდებულ სახლებიდან თურქი კოლმეურნენი გამოიშალნენ, ჯგუფად დაეწყვნენ და საარჩევნო უბნისაკენ გასწიეს.

მოვედით! საზეიმოდ მორთულ სკოლის ეზოში უჩვეულო ლხინი იდგა. სოფ. კზილ აჯილის მცხოვრებთ თავი მოეყარათ და ღამეს ათევდნენ, — რა არის, სხვებმა არ დაგვასწრონ და საარჩევნო ბიულეტენების ჩაგდების პირველობაში არ შეგვეცილონო.

ხალხი გულიანად იცინოდა და ოხუნჯობდა. წრეში ჩამდგარ მეზურნე მამედ-ჰასან-ოღლის დასტას ყამიშები მოემარჯვებინა, დუდუკს სევდიან შიქასტას „ატირებინებდნენ" და საზეიმო ზურნაზე გრაციულ და ღრმა შინაარსის „დილის სარს" აჩვევდნენ.

უცებ ვიღაცა ყორეზე შედგა და დაიძახა.

— „ბურაბახ, ისლამ-ნაბი-ოღლი გელდი!.. გესმით—მოდის".

მალე მარნაულელი აშუღი გამოჩნდა და, როცა სადაფებით შემკულ თარს გულჩათხრობილი და ჯადოსნური აკორდები ამოსწყვიტა, ხალხი გაინაბა და სმენად გადაიქცა.

— „სალოლ ისლამ-მარნაულელი, ყოჩაღ ისლამ მარნაულელო". დაიძახა გაჭედილმა ეზომ და ალგეთის მთებმაც ბანი მისცეს.

დაჯაბნილმა და ოდნავ შერცხვენილმა მეზურნე მამედ ჰასან-ოღლიმ ტუჩთან ყამიში მიიდო, მედამქაშეს მრავალაზრიანად გადახედა და ყელმოღერებულ მედოლესაც უხმოდ ანიშნა. უმალ დუდუკისა და დოლის რიტმიული ხმა სარვანის ველებისაკენ გაიჭრა და ბორჩალოელებს აშუღისა და მეზურნეების შეჯიბრება ამცნო. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემის დაწყება აუწყა.

ირიჟრაჟა. ალგეთის მხრიდან ცივმა ნიავმა დაჰბერა, სკოლის აივნის მოაჯირზე გადმოფენილ მრავალფეროვან ხალიჩებზე დიდი ბელადის სტალინისა და მისი ღირსეული მოწაფის ლ. ბერიას პორტრეტები გამოჩნდა. თურქმა ახალგაზრდამ ნიშანი მისცა და მოუთმენლობით აღვსილი ხალხი საარჩევნო უბნის შენობის კარებისაკენ გაემართა.

ერთხანს დავა ასტყდა. ახალგაზრდობა და ხნიერნი დავობდნენ პირველობაზე. მერე ქალებიც გაჭირვეულდნენ. მაგრამ სამოცი წლის მოხუცმა მეცხვარემ ქიარიმ უსუფ-ოღლიმ თავისი გაიტანა და სხვა წინ არ გაუშვა, ურნასთან პირველი მივიდა და კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატს მაჰმუდ მამედ-ოღლის პირველმა მისცა ხმა.

საარჩევნო უბნის ეზოში კომფორტაბელური ლიმუზინი შემოგოგმანდა. ორმა ახალგაზრდამ მოხუც თურქ ავადმყოფ ქალს კარი თავაზიანად გაუღო, მხრებში ამოუდგნენ და ფრთხილად კიბეზე აიყვანეს. მოხუცმა ზულეიხა კული-ყზიმ ათრთოლებული ხელებით და გამოუთქმელი სიხარულით ბიულეტენი საარჩევნო ურნაში ჩააგდო და შემოკრებილთ მიმართა:

— სახლში როდი დავბრუნდები, მეც თქვენთან მინდა ვილხინო.

აშუღმა ისლამ ნაბი-ოღლიმ თარი კვლავ ტკბილად ააჟღერა და მეზურნე მამედამაც დუდუკი „აატირა", ღედაბერს წყეული წარსული გაახსენა და ბედნიერ აწმყოზე ნათქვამი სიმღერებით სიხარულის ცრემლები დააფრქვევინა.

ხმის მიცემის შემდეგ კოლმეურნენი კვლავ ეზოს უბრუნდებოდნენ და მამაპაპურად მოკეცილნი ლხინსა და დროს ტარებას ეძლეოდნენ. სხვები კი საარჩევნო უბნებთან მიდიოდნენ და სამშობლოსა და ბელადის ერთგულებაზე სიტყვას სდებდნენ.

დიდხანს გაგრძელდა დღეობა და ლხინი ალგეთის ხეობაში, დიდხანს ისმოდა სარვანის ველზე მამედ ჰასან-ოღლის ტემპერამენტით ალსავსე ზურნის ხმა და ისლამა აშუღის ახალი საკოლმეურნეო სიმღერები, რომლის მელოდიებშიც ჩაქსოვილი იყო გადმოუცემელი გრძნობა და სიყვარული პროგრესიული კაცობრიობის ბელადის დიდი სტალინისადმი.

ოთარ ეგაძე



გუშინ, 12 ივნისს, მოსკოვიდან თბილისს ჩამოფრინდა 24-ადგილიანი თვითმფრინავი „დუგლასი", რომელმაც ჩამოიყვანა მოსკოვის გაზეთების კორესპონდენტები და ჩამოიტანა გაზეთების „პრავდის", „იზვესტიის" და „კომსომოლსკაია პრავდის" 12 ივნისის ნომრები, მიძღვნილი საქართველოს და სომხეთის უმაღლესი საბჭოების არჩევნებისადმი.
თვითმფრინავი გუშინვე გაფრინდა უკან, თან წაიღო მასალები საქართველოში და სომხეთში უმაღლესი საბჭოების არჩევნების შესახებ.
სურათზე: თვითმფრინავი „დუგლასი" თბილისის აეროდრომზე, მარცხნივ კუთხეში—„დუგლასის" 1-ლი მფრინავი, ორდენოსანი ამხ. ნ. გ. ნოვიკოვი.
ფოტო ა. ფილიპოვისა

# ფაშისტური გერმანია კიდევ უფრო აძლიერებს მზადებას ჩეხოსლოვაკიაზე თავდასასხმელად

## გერმანიის საომარი მზადება ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ

**პარიზი**, 10 ივნისი (სადღესი). ბიულეტენი „დოიჩე ინფორმაციონენი" გადმოგვცემს მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ გერმანიის ფაშიზმის საომარი მზადების გაძლიერებას. ვენიდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ავსტრია-ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მთელს მანძილზე და განსაკუთრებით დუნაის ველზე ბრატისლავის მახლობლად გერმანელი ფაშისტები გამალებით აწარმოებენ მუშაობას სხვადასხვა სამხედრო სიმაგრის ასაგებად.

ბავარიის, საქსონიის, გერმანული სილეზიისა და ავსტრიის ყველა გარნიზონში შეწყვეტილია ყოველგვარი შვებულება ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. გერმანიის არმიის რიგებში გაწვეული არიან 26-დან 30 წლამდე ასაკის რეზერვისტები.

ჩეხოსლოვაკიის მახლობლად საომარ მზადებასთან ერთად ძლიერდება საომარი მზადება გერმანიის სხვა ნაწილებშიც. ასე, მაგალითად, ჰამბურგიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ვანდსბეკში დამთავრდა დიდი სამხედრო ლაზარეთის აგება. ვანდსბეკში, ალტონში, ჰამბურგში და სხვა ადგილებში დამთავრდა დიდძალი სამხედრო ყაზარმების აგება.

ყველა გლეხურ მეურნეობას მიეცა განკარგულება, რათა მთელი საკვების არანაკლებ 50 პროცენტისა სავალდებულო წესით მიჰყიდონ არმიის მომმარაგებელ სამმართველოებს.

ბიულეტენი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ, გერმანიის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელობის განკარგულებით, ივნისის განმავლობაში ჩატარდება ფაშისტური პარტიის წევრთა სამხედრო შეკრებანი სხვადასხვა საბაბით. მაგალითად, აღმოსავლეთ პრუსიაში ფაშისტური პარტიის წევრთა სამხედრო შეკრება ჩატარდება ფაშისტური ორგანიზაციის არსებობის 10 წლისთავის საბაბით, შეკრება ქ. კობლენცის და ტრირის (დასავლეთ საზღვარზე) რაიონში ჩატარდება „ძველი ფაშისტური გვარდიის პატივისცემის" საბაბით და სხვ.

## ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სრულ სიმშვიდეს იჩენს

**პრაღა**, 11 ივნისი (სადღესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ყურადღების ცენტრში მოქცეულია „სუდეტელ გერმანელთა საკითხის" მოგვარება, შინაგანი წესრიგის უზრუნველყოფა სახელმწიფოში იმასთან დაკავშირებით, რომ ხვალ ჩეხოსლოვაკიის თემთა უმრავლესობაში ხდება მუნიციპალური არჩევნები, აგრეთვე რესპუბლიკის დაცვის ღონისძიებანი.

სხდომის შემდეგ პრემიერმა გოჯამ მიიღო ინგლისის ელჩი პრაღაში ნიუტონი და ჩეხოსლოვაკიის ელჩი პარიზში ოსუსკი, რომელიც იმისათვის ჩამოვიდა, რომ მიაწოდოს მთავრობას ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის მიმართ საფრანგეთის მთავრობის პოზიციის შესახებ. საღამოს ოსუსკი მიიღო აგრეთვე პრეზიდენტმა ბენეშმა. როგორც ჩანს, ინგლისი და საფრანგეთი მიმართავენ ახალ ცდას გავლენა მოახდინონ ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე. დღეს პრემიერი გოჯა მინისტრთა საბჭოს გააცნობს ამ მოლაპარაკების შინაარსს.

მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა კვლავ გამწვავდა, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სრულ სიმშვიდეს იჩენს.

გუშინ პრეზიდენტმა ბენეშმა თავდაცვის მინისტრის მახნიკის თანხლებით პრაღასა და მის მიდამოებში შეამოწმა ნაწილებისა და საჰაერო თავდაცვის მზადყოფნა. ბენეშმა სრული კმაყოფილება გამოსთქვა ჩეხოსლოვაკიის არმიის ნაწილების საბრძოლო მომზადებისა და მზადყოფნის გამო.

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გაძლიერებული სიფხიზლე, კერძოდ, დაკავშირებულია იმ ახალ მკაცრ ანტიჩეხოსლოვაკურ კამპანიასთან, რომელიც უკანასკნელ დღეებში გაჩაღეს გერმანიის პრესამ და ჰენლაინელებმა. პრაღის გაზეთების გადმოცემით, ჰენლაინელთა პარტია სუდეტელ-გერმანელთა ოლქის რაიონებში ეწევა გაფთრებულ ანტიჩეხოსლოვაკურ პროპაგანდას, რომელსაც თან სდევს ტერორი ქარხნებში, ქუჩებში და სხვ.

## სახსრების შეგროვება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის „თავდაცვის ფონდში"

**პრაღა**, 11 ივნისი (სადღესი). „რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში" სახსრების შეგროვების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. გაზეთები აქვეყნებენ მუშათა ორგანიზაციების, სხვადასხვა საწარმოების, პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასოფლო თემებისა და საქალაქო მუნიციპალიტეტების ვრცელ სიებს, რომლებსაც სახსრები შეაქვთ ამ ფონდში.

გუშინ პრაღის მუნიციპალიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიძღვნილი იყო იმისადმი, რომ მთელს რესპუბლიკაში მოეწყოს სახსრების შეგროვება „თავდაცვის ფონდში" ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით. თათბირმა გამოიტანა გადაწყვეტილება — სპეციალური მოწოდებით მიმართოს „ჩეხოსლოვაკიის ყველა ხალხს".

ჰენლაინის სუდეტელ-გერმანელთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ უარი სთქვა თათბირში მონაწილეობაზე და მოწოდებით მიმართა სუდეტის გერმანულ მოსახლეობას არ დაუჭიროს მხარი სახსრების შეგროვებას „თავდაცვის ფონდში". ამავე დროს ჰენლაინელთა საპარლამენტო ფრაქციამ (დეპუტატები და სენატორები) მთავრობას გადასცა განცხადება, რომელშიც პროტესტს აცხადებს „თავდაცვის ფონდში" სახსრების შეგროვების წინააღმდეგ და ამას იმით ასაბუთებს, რომ სახსრების შეგროვება ვითომდაც „ეწინააღმდეგება" რესპუბლიკის „ფინანსიურ კანონებს". ჰენლაინელები აგრეთვე ურჩევენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას „ხელი აიღოს სამხედრო ღონისძიებათა განხორციელებაზე".

◇ ◇ ◇

## საფრანგეთის პრესა ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის შესახებ

**პარიზი**, 11 ივნისი (სადღესი). „ევრი" ლაპარაკობს ჰიტლერული გერმანიის ახალ მანევრებზე, რომლებიც მიმართულია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. ავსტრიაში, სწერს გაზეთი, ამჟამად ხდება გადაჯგუფება ჯარებისა, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ ჰგზავნიან. შესაძლოა, რომ აქ საქმე ეხებოდეს დაშინების ღონისძიებებს. მაგრამ დამახასიათებელია, რომ სუდეტის ოლქის ტერიტორიაზე, როგორც იუწყებიან, ვრცელდება ფურცელი, რომელიც „ინსტრუქტაჟს" უწევს სუდეტელ გერმანელებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ ომის შემთხვევაში. ჰიტლერული გერმანია მათ აგრძნობინებს რომ, როგორც კი ომი დაიწყება, სუდეტელი გერმანელები გამოცხადებული იქნებიან გერმანიის მოქალაქეებად.

◇ ◇ ◇

## გენერალი მიახა მადრიდს დაბრუნდა

**პარიზი**, 11 ივნისი (სადღესი). [illegible]

## უთანხმოებანი მეამბოხეთა ბანაკში

**ლონდონი**, 11 ივნისი (სადღესი). [illegible]

## მეამბოხეებმა კვლავ ჩაიძირეს ინგლისის გემი

**პარიზი**, 11 ივნისი (სადღესი). [illegible]

## ჰიტლერელთა პროვოკაცია ლიტვაში

**კაუნასი**, 11 ივნისი (სადღესი). [illegible]



მუსიკალური ანსამბლი ძერჟინსკის საარჩევნო ოლქის მე-7 უბანში.



ძერჟინსკის საარჩევნო ოლქის, მე-7-დე საარჩევნო უბნის საბავშვო ოთახში.

ფოტო რ. აკოფოვისა

## თბილისი—სოხუმი

(„კომუნისტის" სპეც. კორ.)

12 ივნისს მოხდა კელასური-სოხუმის უბნის გახსნა. პირველ მატარებელს, თბილისი-სოხუმი, სოხუმის მშრომელები უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ. სოხუმის სადგურზე ზღვა ხალხს მოუყრია თავი. აღტაცებული სიმღერითა და მუსიკით ხვდებიან ისინი მატარებელს. ლამაზი, კოპწია სადგურის შენობა მხატვრულად არის მორთული. შესასვლელ ისრებზე აღმართულია თაღი ტრანსპარანტებითა და ბელადების სურათებით. მატარებელი დგება თაღზე გაბმულ წითელ ლენტთან. მატარებელს აღფრთოვანებით შეეგებებენ აფხაზეთის მშრომელები. აფხაზეთის ასსრ ცაკის თავმჯდომარე ამხ. რაფავა სჭრის ლენტს. გაისმის „ურა", „ვაშა", მუსიკა უკრავს „ინტერნაციონალს". ხაზი გახსნილია, მატარებელი სადგურში შედის. იხსნება მიტინგი. ტრიბუნაზე არიან ამხ. რაფავა, ბექვაია, ცეკვავა, გზის მშენებლობის ხელმძღვანელები, სტახანოველები. მიტინგს ხსნის ცეკვავა. სიტყვებით გამოდიან მთავარი ინჟინერი ცატუროვი, სტახანოველი ბერზიცკი, საამშენებლო უბნის უფროსი სასანია, ჭკადუა (კომკავშირის საოლქო კომიტეტიდან) და სხვები.

**ან. კელენჯერიძე**

## ლისის ტბაზე

ორი - სამი წლის წინათ წამოიჭრა საკითხი ლისის ტბისა და მისი რაიონის ბუნების გამოყენების შესახებ.

ტბის მახლობლად 9 ჰექტარი დაფარულია გასულ წელს დარგული, ახლა უკვე მწვანით შეფოთლილი 20.000 მცენარით, რომელნიც მედიდურად გადაჰყურებენ ლისის ტბის წყნარად დარხეულ მოლურჯო ტალღებს.

სანაოსნო სადგურის ახლოს სამნახევარ ჰექტარზე გაშენებულია პარკი, რომელშიც დარგულია ბიგნონი, ჭადარი, იაპონური კოპიტი, კედრი, კაკალი და სხვ. ძვირფასი მცენარეულობა, ხოლო ხუთ ჰექტარზე გაშენებულია ტყე, სადაც დარგულია უმთავრესად ადგილობრივი კოპიტი, ცაცხვი და ნეკერჩხალი.

1936 წელს წყალზე დამხმარე საზოგადოებამ ლისის ტბაში ჩაუშვა რამდენიმე ნავი. მიუხედავად ნავების ძალიან მცირე რაოდენობისა, ესეც საკმარისი იყო, რომ ტბის მდუმარე მიდამოები აეხმაურებინა სტალინური ეპოქის ბედნიერი ბავშვების მხიარულ ყიჟინას.

წელს უკვე ლისის ტბაზე მუშაობს 30 მოზრდილი ნავი, 10 პატარა ბაიდარი (ერთ ადგილიანი ნავი), 4 მოტორიანი ნავი და 2 პატარა საბავშვო გემი, რომელთათვისაც წყალზე დამხმარე საზოგადოებამ გასულ წელს მოამზადა 30 ახალგაზრდა მეზღვაური.

ამჟამად ტბის სანაპიროზე გაშენებულია ვერანდები, პავილიონები, სავაჭრო წერტები, სასაუზმეები, 30-მდე საჩრდილობელი სოკო, სხვადასხვა ფიზკულტურული სავარჯიშოები, საექიმო პუნქტი. ცალკე ეწყობა და უახლოეს ხანში დამთავრდება საბავშვო ნავსადგური და სხვ.

12 ივნისს, ორდენოსანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მოხდა ლისის ტბის საზაფხულო სეზონის საზეიმო გახსნა.

დილიდანვე დაიწყო ხალხის დენა ლისის ტბისაკენ. მიდიან ფეხით, ველოსიპედებით, მოტოციკლეტებითა და ავტომანქანებით. დღის 1 საათისათვის აქ უკვე თავი მოიყარა 1000-მდე კაცმა და ალბად კიდევ ბევრი მოვიდოდა, რომ თბილავტოტრესტისა და ლისის ტბის დირექციებს დროზე მიეღოთ ზომები მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებისათვის.

დაიწყო სეირნობა, ბანაობა, ნავებით ცურაობა, ცეკვა, სიმღერა, სხვადასხვა ხასიათის ფიზკულტურული ვარჯიშობანი, ჰადრაკის, დომინოს, ფეხბურთის, ხელბურთის, წყალბურთის და სხვა თამაშობანი.

საღამოს 8 საათამდე არ შეწყვეტილა დედაქალაქის ბედნიერი ახალგაზრდობის მხიარულება ლისის ტბის მიდამოებში.

**ს. გერბიძე**

## ფეხბურთი

## თბილისი—როსტოვი

გუშინ, 12 ივნისს, როსტოვში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის და როსტოვის „დინამო".

მატჩი დამთავრდა ყაიმით—ანგარიშით 1:1.

თბილისის „დინამომ" უკვე ჩაატარა ექვსი შეჯიბრება და 12 შესაძლებელი ქულიდან მოაგროვა 9.

თბილისის მეორე გუნდი—„ლოკომოტივი" ამჟამად მოსკოვში იმყოფება. დღეს, 13 ივნისს, გაიმართება მისი შეჯიბრება მოსკოვის „სტალინელებთან". „ლოკომოტივს" ამჟამად ექვსი მატჩიდან 7 ქულა აქვს.

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა საინტერესო შეჯიბრება მოსკოვის „დინამოსა" და ხარკოვის „სელმაშს" შორის. მატჩი მოულოდნელად დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1937 წლის ჩემპიონის— მოსკოვის „დინამოს" დამარცხებით—ანგარიშით 1:0.

## „ბედნიერ სამშობლოს"

### კრებული, მიძღვნილი 12 ივნისისადმი

საბჭოთა საქართველოს პოეტები და მწერლები ყველა მშრომელთან ერთად სიხარულისა და ბედნიერების გრძნობით ეგებებიან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს.

ეს თავისი გრძნობები მათ გამოჰხატეს პოეტურ და პროზაიკულ ნაწარმოებებში, რომლებიც შეტანილია კრებულში „ბედნიერ სამშობლოს". ეს კრებული დაამზადა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა.

კრებული „ბედნიერ სამშობლოს", მიძღვნილი არჩევნების ღირსშესანიშნავი დღისადმი, 9 ივნისს გამოვიდა. კრებული გამოუშვა გამომცემლობა „ფედერაციამ".

კრებულში მონაწილეობას იღებს 23 პოეტი და 12 მწერალი. პოეზიის განყოფილებაში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი: ი. მოსაშვილის — „ხალხთა ბელადს, დიდ სტალინს" და „ჩემი სამშობლო", ვ. ჟურულის — „მშობლიურ სტალინს", რ. გვეტაძის—„პირველი დეპუტატი", ა. აბაშელის — „სამშობლოს", გ. ქუჩიშვილის—„ორი სიმღერა მშობლიურ ქვეყანაზე", აგრეთვე ი. აბაშიძის, შ. აფხაიძის, კ. ბობოხიძის, ჟ. გამსკირიას, ვ. გაფრინდაშვილის, გ. გარჩილაძის, გ. გიასელის, ვ. გორგაძის, ს. ეულის, ს. თავაძის, იასამანის, გ. კაჭახიძის, ნ. მალდონიას, მ. მრევლიშვილის, პ. სამსონიძის, ფ. სულაბერიძის, ს. ჩიქოვანისა და გ. ჯაბუშანურის ლექსები.

პროზის განყოფილებაში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებები: ს. თავაძის—„აყვავებული გურია", ლ. ქიაჩელის—„ნინო აგამენაშვილი", დ. შენგელაიასი — „პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი", აგრეთვე ა. ბელიაშვილის, მ. გარიყულის, ი. მოსაშვილის, ე. პოლუმორდვინოვის, ი. ტატიშვილის, რ. ქორქიას, ა. ქუთათელის, ლ. ჰიჯინაძის, ს. წვერავას, და ვ. წულუკიძის ნაწარმოებნი.

წიგნი გამოვიდა კ. ჩარკვიანის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. შენგელაიას და ვ. გორგაძის რედაქციით.

წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებულია მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედის—დიდი სტალინის პორტრეტი.

კრებული შეიცავს 151 გვერდს. ტირაჟი — 3.100 ეგზემპლარი.

## ბავშვ მეჩონგურეთა ანსამბლი

საბურთალოს ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კლუბთან დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა ბავშვ მეჩონგურეთა ანსამბლი. ანსამბლი შესდგება 20 ბავშვისაგან. ყველა ბავშვი მე-55 სკოლის მოწაფეა. ანსამბლს ხელმძღვანელობს ამხ. გ. ბულაძე.

მიუხედავად არსებობის მცირე ხნისა, ანსამბლმა თავისი მოფიქრებული პროგრამითა და ოსტატური შესრულებით კლუბის მაყურებლის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მეჩონგურეთა ანსამბლი რაიონში ფრიად ნაყოფიერ კულტურულ მუშაობას ეწოდა. ანსამბლი თავისი პროგრამით სისტემატურად გამოდიოდა საარჩევნო უბნებში დეპუტატის შეხვედრის დროს ამომრჩევლებთან.

ნორჩ მეჩონგურეთა ანსამბლის პროგრამიდან აღსანიშნავია „სიმღერა სტალინზე", „სიმღერა ბერიაზე", „გურული შაირები", „დილაო ნანა", „გიგა გიორგი" (თუშური სიმღერა) და სხვ., რომლებსაც ნორჩი შემსრულებლები დიდი გემოვნებით ასრულებენ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

დღეს, საღამოს 6 საათზე, ოპერის თეატრში შესდგება საქართველოს **სსრ უმაღლესი სკოლის მუშაკთა რესპუბლიკური კრება**

**დღის წესრიგი:**

უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო თათბირის შედეგები (მომხსენებელი—სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. **სუხანოვი**).

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი — ე. ბურჭულაძე**


**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 13/VI | წარმოდგენა 194 **სულელი** |
| 14/VI | წარმოდგენა 195 **სულელი** |
| 20/VI | წარმოდგენა 196 **სამშობლო** |

დასაწყ. 8 საათზე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 14/VI | **სევილიელი დალაქი** |

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

**დაკარგულია**
სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის 26 კომუნარის სახ. კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი.
ჩაითვალოს გაუქმებულად. 17875

**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს,** რომ მის **საჯარო სხდომაზე, 27 ივნისს დღის 2 საათზე,** სოც-ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) სამკურნ.-პროფილ. ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიული კლინიკის ასისტენტი **ექ. გიორგი იოსების-ძე მათეშვილი** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე:

**„მასალები კარდიო-ვასკულარული სისტემის ზოგიერთი ფუნქციონალურ დიაგნოსტიკური მეთოდის კლინიკური ღირებულების საკითხისათვის".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: მედიცინის დოქტორი, პროფ. **ვ. ვ. ვორონინი,** მედიცინის დოქტორი, პროფ. **მ. დ. წინამძღვრიშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. **ვ. ა. ანდღულაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას ყოველდღე, ნაშუადღევის 2-5 საათამდე მედინსტიტუტის შენობაში საბჭოს სწავლულ მდივან დოც. ვ. ა. ანდღულაძესთან. 44

**თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი ექიმ ნ. გ. კონტოროვიჩისა გადავიდა**
ელბაქიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.), № 21 მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.
კაბინეტი მკურნალობს ძიძიბებს, ფერისმჭამელას, ჭორფლს, ტალებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეჭეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს 17743

**ექიმი ნ. ონიანოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა ავადმყოფთა მიღება დილ. 10—12-დე საღ. 7—9-დე ნიხოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის) № 537. 6—2 16.


## ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938/39 სასწავლო წელს მიღების წესები

1. მიღება იწარმოებს:

ა) ფიზიკა-მათემატიკის (ქართული და რუსული სექტორი), ბ) ქიმიის, გ) გეოგრაფია—გეოლოგიის, დ) ბიოლოგიის, ე) ისტორიის, ვ) ფილოლოგიის (ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სექციებით), ზ) ეკონომიურ (ქართული და რუსული სექტორი) და თ) იურიდიულ ფაკულტეტებზე.

2. განცხადებები შემსვლელთაგან მიიღება 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე.

3. შემსვლელს შემოაქვს უნივერსიტეტის (თბილისი, მარის ქ. № 1) რექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: ა) დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), პასპორტი (წარედგინება პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ., გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (აუცილებელია მხოლოდ სამხედრო ვალდებულთათვის).

**შენიშვნა:** ა) ავტობიოგრაფიაში უნდა იყოს შემდეგი ცნობები: 1) დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) და ადგილი, 2) ეროვნება, 3) ქვეშევრდომობა, 4) პარტიული მდგომარეობა, 5) განათლება, 6) პროფესია და სპეციალობა, 7) საწარმოო სტაჟი, 8) ოჯახური მდგომარეობა, 9) მისამართი (აღნიშვნა რაიონის, სოფლის, ქალაქის და ქუჩის) და სხვ.

ბ) პირველ კურსზე გადმოსვლა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან არ შეიძლება.

4. განცხადებაში უსათუოდ უნდა იყოს აღნიშნული ფაკულტეტი, რომელზედაც სურს ჩარიცხვა შემსვლელს.

5. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

6. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება (ათწლედი, ტექნიკუმი, მოზრდილთა საშუალო სკოლა, მუშფაკი), ან აქვთ საშუალო განათლების მიღების ატესტატი ექსტერნატის წესით.

**შენიშვნა:** ა) გამოცდებზე აგრეთვე დაიშვებიან მოზრდილთა ათწლედდამთავრებულნი და ცხრაწლედდამთავრებულნი 1935 წლამდე.

ბ) ტექნიკუმდამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო სამი წლის საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ ან ასეთისაგან სათანადო სახკომატებისაგან განთავისუფლებულნი (სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ).

7. შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) რუსული ენა (ზეპირი და წერითი), ბ) ქართული ენა (ზეპირი და წერითი), გ) პოლიტცოდნა, დ) მათემატიკა, (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია - ზეპირი და წერითი), ე) ფიზიკა, ვ) ქიმია, ზ) ერთი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული), თ) ეკონომიურ და გეოგრაფია-გეოლოგიურ ფაკულტეტებზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდებს გეოგრაფიაში, ხოლო ისტორიულ, ფილოლოგიურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე შემსვლელნი - ისტორიასა და გეოგრაფიაში.

8. მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

9. უგამოცდოდ მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი - ფრიადოსნები და აგრეთვე ფრიადოსნები ექსტერნატის წესით საშუალო სკოლადამთავრებულნი.

10. მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთა შემოწმება სამედიცინო კომისიის მიერ იწარმოებს 25,26,27,28,29 ივლისს (მარის ქ. № 10)

11. მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე დაიწყება 1 სექტემბერს (თუ ჩარიცხული უნივერსიტეტში არ გამოცხადდა 1 სექტემბერს, ის მექანიკურად გაირიცხება უნივერსიტეტიდან).

12. ცნობებისა და კონსულტაციების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება უნივერსიტეტში ცნობათა ბიუროში ყოველდღე 10-დან 3 საათამდე.

13. მიღების წესები და მისაღები გამოცდების პროგრამები იყიდება უნივერსიტეტის კიოსკში.

1233 **ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. კიკნაძე.**

## საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატის თბილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმი აცხადებს მიღებას 1938-39 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს სპეციალისტებს (ტექნიკოსებს ფართო პროფილით) კომუნალური მეურნეობისათვის შემდეგი განხრებით: 1. კომუნალური მეურნეობისა და 2. საალმშენებლო-საარქიტექტურო. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 15-დან 25 წლამდე. ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2. პასპორტი (წარმოადგენს გამოცხადების დროს პირადად), 3. არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედის) დამთავრების მოწმობა, 4. ჯანმრთელობის მოწმობა, 5. ორი ფოტოგრაფიული სურათი, გადაღებული უქუდოდ, და 6 სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების საბუთი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა წერითი და ზეპირი, 2. ქართული ენა და ლიტერატურა. 3. ისტორია. 4. ფიზიკა, 5. რუსული ენა და ლიტერატურა, 6. ხაზვა.

**შენიშვნა:** საალმშენებლო-საარქიტექტურო სპეციალობაზე შემსვლელთათვის დამატებით გამოცდა ხატვაში.

მუშფაკ, ათწლედ და არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულნი ფრიადოსნები ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში ჩარიცხული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლებით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

**მთხოვნელთა განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე ყოველდღე დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე ტექნიკუმის კანცელარიაში.**

**ტექნიკუმის მისამართი:** თბილისი, საბურთალო, კომბაინერთა ქუჩა, № 49. ტელეფონი 3-44-08.

1624 **ტექნიკუმის დირექტორი ა. ჭავჭანიძე.**


საქართველოს სახკომსაბჭოს ა. წ. 9 მაისის დადგენილებით როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი წარმოების საკონდიტრო საქონლის გასაღება მთლიანად დაკისრებული აქვს

**„გლავკონდიტერის" საქართველოს კანტორას.**

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების № 1 ფაბრიკასთან დადებული ხელშეკრულებანი შესასრულებლად გადაეცა „გლავკონდიტერის" საქართველოს კანტორას.

შემოტანილ საკონდიტრო საქონელზე და თბილისის № 1 ფაბრიკის პროდუქციაზე ყველა მოთხოვნითა და შეკვეთით მიმართეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, სარეჯაო კოოპერაციის ქ. № 9, „გლავკონდიტერის" საქართველოს კანტორა, ტელ. 3-54-87. 1236



მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, [illegible] — 3—73—24; [illegible] — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

[illegible] „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—1464